საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერის საქმიანობის

ზოგადი წესის შესახებ

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 4 **19.02. 2018**წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი: /მ. ღარიბაშვილი/

IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY * REPRESENTATIVE BOARD *

თელავი

2018

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერის საქმიანობის

ზოგადი წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერის უფლებამოსილებებს.
2. სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შიდანორმატიული აქტებითა და წინამდებარე წესით.
3. სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და რექტორის მოადგილის მიერ კანომდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერი

სტუდენტთა კარიერული ზრდის და განვითარების მენეჯერი უზრუნველყოფს:

1. წლიური სამუშაო გეგმის შედგენას და წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას;
2. პრიორიტეტების დასახვას და მათ განსახორციელებლად კონკრეტული საქმიანობისა და ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას;

3. სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევას პროფესიული ორიენტაციისა და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;
4. პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;
5. დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას და რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
6. სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას;
7. შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს და არსებული ვაკანსიების მონიტორინგს;
8. დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას;
9. დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას;
10. ურთიერთობის კოორდინირებას ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან, დონორებთან, ქართულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან;
11. ეფექტური და ოპერატიული კომუნიკაციის უზრუნველყოფას, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურებთან და სტუდენტებთან, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან;
12. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტების მომსახურებას მათ შეკითხვებზე, წინადადებებზე და განცხადებებზე პასუხის გაცემისა და კონსულტაციის გაწევის სახით;
13. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შესახებ კვლევას მათ კარიერულ, პიროვნულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;

14. საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
15. კურსდამთავრებულების ჩართულობას საუნივერსიტეტო საქმიანობასა და აქტივობებში.

მუხლი 3. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი: /მ. ღარიბაშვილი/